#468 2014 წლის 3 დეკემბერი ქ. თბილისი

ნ. ხადურისათვის „საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვით თანამშრომლობის რეგიონულ ფონდში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით“ კონტრიბუციის შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს მიენიჭოს „საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვით თანამშრომლობის რეგიონულ ფონდში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით“ კონტრიბუციის შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**